პროექტი დამუშავებულია კომპანია შპს "ზიმო"-ს დაკვეთით,

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ პროექტზე გაცემულია: 2006 წლის 20 დეკემბერს - მშენებლობის ნებართვა ბრძანებით #20/1103, შემდგომში 2007 წლის 15 მაისს - კორექტირებული პროექტის მშენებლობის ნებართვა ბრძანებით # 03/467.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი 10 სართულიანია. შენობა ორ სადარბაზოიანია. მიწისქვეშა სართულზე განთავსებულია სარდაფები და ავტოსადგომი 22 ადგილზე. ასევე გათვალისწინებულია მიწისზედა ავტოსადგომები.
შენობის ±0,00 ნიშნული შეესაბამება 446,60 აბსოლიტურ ნიშნულს.
პირველ სართულზე განთავსებულია 6 ბინა ღია ტერასებით.
მეორე სართულიდან მეშვიდემდე ტიპიური სართულია. მერვე სართულზე 6 ბინაა შეცვლილი გეგმარებით, ხოლო მეცხრე და მეათე სართულზე განთავსებულია დუპლექსის ტიპის 4 ბინა ორსინათლიანი სივრცეებით, ტერასებით და აივნებით.

მშენებლობის დროს პროექტმა განიცადა მცირე ცვლილებები:
შენობის ბრტყელი გადახურვა შეიცვალა ქანობიანი ლითონის სახურავით.
შეიცვალა ფანჯრების, კარებების, ვიტრაჟების და აივნების მოაჯირების ნახატი.
მესამე, მეხუთე სართულებზე მოხდა ბინების გაერთიანება და შესაბამისად შეიცვალა მათი ფართები.
პირველი სართულის ტერასები და მერვე სართულის აივანი ნაწილობრივ გადაიხურა ლითონის კონსტრუქციაზე დამონტაჟებული "ლამექსი" მინით.

ცვლილება განიცადა ბინების ნომენკლატურამ: მესამე სართულზე ბინა #34-ის ფართი განაწილდა #33 და #35 შორის; მეოთხე სართულზე გაერთიანდა ბინა#11 და ბინა #12; მეხუთე სართულზე გაერთიანდა ბინები #40 და #41.

შენობის ფასადის შიდა სიბრტყეები მოპირკეთებულია აგურით, გარე სიბრტყეებზე გამოყენებულია ცემენტის ხსნარით ღესვა ღებვით. ლითონის მოაჯირები შავი ფერისაა. გარე კარებების, ფანჯრების, ვიტრაჟების ჩარჩოები მეტალოპლასტმასისაა.
ზემოთ ხსენებული ცვლილებების გამო შპს "ზიმო"-ს დაეკისრა ჯარიმა შეთანხმებული პროექტის დარღვევის გამო.
ჯარიმის დადგენილება და გადახდის ქვითარ იხილეთ მიმაგრებულ ფაილში.